,,კონსერვატიული მიმართულება XIX სკ ბოლო და XX სკ. დასაწყისი''

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლეონტიევი (1831-1891) ისტორიკოსი არ ყოფილა, მაგრამ მისი ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულებები ფართოდ გავრცელდა, ხოლო კონსერვატიულ ბანაკს შეიძლება მიეკუთვნოს გამოთქმის ,,Подморозить Россию'' წყალობით, ანუ მოხდეს მისი იზოლირება გარე სამყაროსგან, არ მოხდეს აქ დემოკრატიული და რევოლუციური იდეების შეღწევა.

ლეონტიევი წარმოშობით იყო კალუგელი მემამულის ოჯახიდან. მიიღო სამედიცინო განათლება, დაასრულა რა მოსკოვის უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი, მაგრამ მალე უარი თქვა სამედიცინო პრაქტიკაზე. 1863 წელს არშემდგარმა ექიმმა მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში, დრაგომანის თანამდებობაზე (დიპლომატ-მთარგმნელი) კუნძულ კრეტაზე. დიპლომატიურმა საქმიანობამ საშუალება მისცა მშვენივრად შეესწავლა ახლო აღმოსავლეთი. იძულებითი გადადგომის შემდეგ საცხოვრებლად დარჩა კონსტანტინოპოლში სადაც დაწერა და გამოაქვეყნა თავისი სტატიები პანსლავიზმზე - ,,აღმოსავლეთის საკითხი'' ხდება მისი შემოქმედების მთავარი თემა.

1880 წლის დასაწყისში ბედმა ლეონტიევი ვარშავაში წაიყვანა სადაც ის გახდა გაზეთ ,,ვარშავული დღიურების'' რედაქტორი, შემდეგ სწავლული მუშაობდა ცენზორად მოსკოვის საცენზურო კომიტეტში. გადადგომის შემდეგ დასახლდა ოპტინელთა უდაბნოში, 1891 წელს აღიკვეცა ბერად და ეწოდა კლიმენტი, შემდეგ გადავიდა სერგიევ პოსადში სადაც მალევე გარდაიცვალა.

გატაცებული იყო რა ნ. დანილევსკის თეორიით ისტორიულ-კულტურული ტიპების შესახებ, ლეონტიევი მაინც აიდეალიზებდა სლავი ხალხის ძმობას, ხედავდა რა რუსეთის ბედისწერას და გადარჩენის გზას ბიზანტიზმში. სლავების გადარჩენის საკუთარი თეორია მან ჩამოაყალიბა წიგნში ,,ბიზანტიზმი და სლავობა'' (1871)

,,ბიზანტიზმი არის მეფეს პლუს ეკლესია'' ეს ფორმულა ილუსტრირებდა ბიზანტიისგან რუსეთისთვის სახელმწიფო მოწყობის, ეროვნული ხასიათის და კულტურის იდეის ფუნდამენტური პრინციპების გადაცემას.

რუსეთის ისტორიასთან დაკავშირებით ლეონტიევი ამბობდა, რომ რუსულმა საზოგადოებამ გაიარა თავისი განვითარების სამი ეტაპი: 1) XVII საუკუნემდე ეპიკური უბრალოების და პატრიარქალურობის დრო 2) XVII-XVIII სკ. პერიოდი ე.წ. ,,цветушей сложности'', როცა არსებობდა რუსეთის უმაღლესი სასულიერო და სახელმწიფო ერთობა მისი გამოვლენის მრავალფეროვნებაში. 3) XIX სკ. მრავალფეროვნების განადგურება, ყველა პროცესის გამარტივება (კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა) დრო გამათანაბრებელი პროგრესის რომელსაც მივყავართ ,,საშუალო ადამიანამდე''.

მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთის განვითარებაში იყო არა მხოლოდ მისი დამოკიდებულება ბიზანტიასთან, არამედ კავშირები დასავლეთთან. ლეონტიევის თანამედროვე დასავლეთი განიცდიდა ისტორიკოსის აზრით თავისი განვითარების ბოლო სტადიას - დაცემას. ეს წარმოადგენდა საფრთხეს რუსული სამყაროსთვის და მთელი სლავებისთვის. რუსეთის გადარჩენა იქნება თუ ის გახდება ზესახელმწიფო ორიგინალური კულტურით, ამისთვის საჭიროა სლავური ქვეყნების პოლიტიკური,

რელიგიური, კულტურული (მაგრამ არა ადმინისტრაციული) კონფედერაცია. თვითონ რუსეთი უნდა გახდეს ქვეყანა ძლევამოსილი, ყოვლისმომცველი სახელმწიფოებრიობით მართლმადიდებლობით და საზოგადოებით.

აქტიური წარმომადგენელი ,,შემოქმედებითი ტრადიციონალიზმის'' ანუ ისტორიოგრაფიაში ისეთი მიმართულების რომლის წარმომადგენლები შესაძლებლად თვლიდნენ რუსეთის ნაყოფიერ განვითარებას მართლმადიდებლური-მონარქიული ტრადიციების საფუძველზე, გამოდიოდა XIX საუკუნის 90-იან წლებში **ლევ ალექსანდრეს ძე ტიხომიროვი** (1852-1923). სამხედრო ექიმის შვილი დაიბადა გელენჯიკში, ბავშვობიდან იყო ძალიან ღვთისმოშიში. 1870 წელს დაამთავრა ქერჩის გიმნაზია ოქროს მედალზე, სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ გადავიდა სამედიცინოზე. გამოდიოდა რა როგორც ნაროდნიკი იყო ,,მიწა და თავისუფლება'' რიგებში, შემდეგ წამყვან როლს თამაშობდა ,,სახალხო ნებაში'' მოხვდა ციხეში, შეწყალებულ იქნა ალექსანდრე III დროს და წავიდა საზღვარგარეთ. ტერორის და მეფისმკვლელობის ყოფილი მომხრე გახდა მონარქისტი და 1888 წელს გამოსცა ნაშრომი ,,რატომ დავანებე თავი რევოლუციონერობას''. 1905 წელს გამოვიდა მისი კაპიტალური ნაშრომი ,,მონარქისტული სახელმწიფოებრიობა'' 1906-10 წწ. სწავლული პეტრე არკადის ძე სტოლიპინის მრჩეველი იყო, მას მისცეს ,,სტატსკი სავეტნიკის'' ჩინი და გახდა შინაგან საქმეთა მინისტრთან არსებული საბჭოს წევრი.

ტიხომიროვს ბევრი საერთო აღმოაჩნდა ლეონტიევის შეხედულებებთან, რომელთანაც მეგობრობდა ამ უკანასკნელის ცხოვრების ბოლო წლებში, ტიხომიროვიც სერგიევ პოსადში გარდაიცვალა ოღონდაც 1923 წელს.

ისტორიისადმი ინტერესს ტიხომროვი ყოველთვის ავლენდა თუმცა მისი ნაშრომების უმრავლესობა ატარებდა პუბლიცისტურ ხასიათს და მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულება სუფთა სახით მას არ შეუქმნია (ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას 1873 წლამდე, დაჭერამდე ის მუშაობდა ,,პუგაჩოვის ისტორიაზე'', მაგრამ არ დაუსრულებია).

რუსეთის ისტორიის ტიხომიროვისეულ კონცეფციის საფუძვლად ედო სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეა. ის გამომდინარეობს ადამიანის ცნობიერების სიღრმიდან, თვლიდა ტიხომიროვი იმიტომ, რომ ნებისმიერი ხალხის სახელმწიფოებრივი პრინციპები მჭიდროდაა დაკავშირებული მის ეროვნულ თვითშეგნებასთან და წარმოდგენებთან არსებობის მიზნების შესახებ.

მოაზროვნე აყენებდა ხელისუფლების ორგანიზაციის სამ პრინციპს: 1) დემოკრატია (მატერიალური, ფიზიკური და რაოდენობრივი ძალა) 2) არისტოკრატია (ხარისხობრივი (თვისობრივი) ძალა რომელიც იძლევა ერთი ადამიანის უპირატესობას მეორეზე) 3) მონარქია (ზნეობრივი კანონი, რომელიც იმორჩილებს რაოდენობრივ და თვისობრივ ძალებს). აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტიხომიროვი ანსხვავებდა ცნებებს ,,უზენაესი ხელისუფლება'' და ,,მართვის საშუალება'' როლის ქვეშ მოიაზრება მთავრობა.

უზენაესი ხელისუფლების ფორმების არჩევა დაკავშირებულია ხალხის მოთხოვნილებასთან, მის რელიგიურ შეხედულებებთან, ეროვნულ თავისებურებებთან და ტრადიციებთან. რუსი ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი იდეალი ყოველთვის იყო ,,ცხოვრება სამართლის მიხედვით'' (жизнь ,,по Правде''). სამართლის უმაღლესი გამოვლენებაა სამეფო ხელისუფლება, განხორციელებული ,,ღვითს ნებით''

რუსეთის ისტორიაში ის გამოყოფდა სამ ,,იდეურ'' პერიოდს: 1) სუზდალში სახელმწიფოებრივი მონარქისტული იდეის დაბადებიდან XII სკ –ივანე მრისხანემდე, 2) მოსკოვური პერიოდი- თვითმპყრობელური იდეა (ივანე IV-დან პეტრე I-მდე) 3) პეტერბურგის პერიოდი - აბსოლუტიზმის იდეა, ბიუროკრატიის ბატონობის პერიოდი. (პეტრე I-დან – ნიკოლოზ II-მდე).

საბოლოო დაშორება მეფეს და ხალხს შორის მოხდა 1861 წელს, როცა თავადაზნაურობის სოციალ-ისტორიული როლი განადგურდა და უმაღლესი სამეფო ხელისუფლების ირგვლივ დარჩა მხოლოდ ბიუროკრატიული ორგანოები. შედეგად რუსეთი დარჩა უამრავი საშინაო დაუკმაყოფილებელი მოთხოვნებით, რომელიც მუდმივად საჭიროებდა ძლიერ მთავრობას, ქვეყანად განუვითარებელი სახელმწიფოებრივი სისტემით.

<u>დიმიტრი ივანეს ძე ილოვაისკი</u> (1832-1920) გიმნაზიის დროიდან იყო დაინტერესებული ისტორიით, 1850 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მისი მასწავლებლები იყოვნენ სოლოვიოვი, გრანოვსკი, ბუსლაევი. სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა მასწავლებლად რიაზანის გიმნაზიაში.

არქივების და სამეცნიერო წრეებისგან სიშორემ არ გატეხა ახალგაზრდა მეცნიერის სურვილი არა მხოლოდ წაეკითხა, არამედ დაეწერა ისტორია. მან ფეხით მოიარა მთელი ,,რიაზანშინა'' აგროვებდა ფოლკლორს, იწერდა მოყოლილ ამბებს ძველი მოსახლეებისგან, სწავლობდა ძველი შენობების და არქიტექტურული ძეგლების ნარჩენების. ამ მოგზაურობების შედეგი იყო ,,გასეირნება ოკას ნაპირებზე'' (Прогулки по берегам Оки) - ჩანაწერები გამოქვეყნებული დ. ილოვაისკის მიერ 1856 წ. მოსკოვის უწყებანში. ავტორის დაკვირვებები გახდა სამაგისტრო დისერტაციის ,,რიაზანის სამთავროს ისტორია'' საფუძველი, რომელიც დაიცვა მოსკოვის უნივერსიტეტში 1858 წელს. ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ილოვაისკიმ შესძლო დაენახვებინა, რომ ოლეგ რიაზანელის მოღვაწეობა, რომელიც არ მიემხრო დიმიტრი დონელს, მამაის წინააღმდეგ ბრძოლაში, არ შეიძლება შეფასდეს ,,დღევანდელი'' გადასახედიდან.

მიუხედავად ხარისხისა ილოვაისკი არასდროს ივიწყებდა თავის პედაგოგიურ საქმიანობას, ის გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამოქვეყნებადი სახელმძღვანელოს ავტორი. თავისი მრწამსით ისტორიკოსი იყო მონარქისტი ხოლო ოფიციალური (მონარქისტული) ისტორიოგრაფია სარგებლობდა პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერით მთავრობის მხრიდან. ამიტომ კონსერვატიული ტალღის ისტორიკოსები უმეტესად სარგებლობდნენ ე.წ. ადმინისტრაციული რესურსით. მათ ჰქონდათ საშუალება გავლენა მოეხდინათ სამეცნიერო საზოგადოებების მიმართულებასა და საქმიანობაზე, პერიოდული ისტორიული გამოცემების შინაარსზე, ისტორიის სწავლებაზე განათლების ყველა დონეზე. და ა.შ.

იმ სირთულეების გათვალისწინებით რასაც აწყდებოდა ილოვაისკი სწავლის თუ სწავლების დროს გადაწყვიტა შეექმნა სახელმძღვანელო რომელიც არ იქნებოდა საზეპიროდ სასწავლი კრებული, არამედ დაეხმარებოდა მასწავლებლებს და მოსწავლეებს ემუშავათ ისტორიაზე. მალე ილოვაისკის სახელმძღვანელოებმა გაყიდვების და ხელახლა გამოცემების თვალსაზრისით ყველა რეკორდი მოხსნა. 1917 წლამდე 36 ჯერ გამოვიდა

რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო უფროსი ასაკისთვის. 44 ჯერ გამოიცა კურსი საშუალო ასაკისთვის. მსოფლიო ისტორიის კურსი უფროსი ასაკისთვის გამოიცა 30-ჯერ, ანალოგიური სახელმძღვანელო საშუალო ასაკისთვის 35 ჯერ. წარმატების საიდუმლო იყო არა იმაში, რომ ილოვაისკის სახელმძღვანელოები რეკომენდირებული იყო სახალხო განათლების სამინისტროს მიერ, ეს ხდებოდა ძირითადად იმის გამო, რომ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებული იყო ასაკობრივი თავისებურებები, მასალის აღქმის თავისებურებები, შეიცავდა გულდასმით შერჩეულ ფაქტებს. ისტორიული ცოდნის მყარი ფუნდამენტის შესაქმნელად, ყველა სახელმძღვანელოს ახლდა ვრცელი შენიშვნები, სადაც მოყვანილი იყო სხვადასხვა ვერსიები მოვლენების, მოცემული იყო ცნობები უშუალოდ ისტორიული წყაროებიდან.

1870 წელს ილოვაისკიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,1793 წლის გროდნოს სეიმი". ამავე პერიოდში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია პოლონეთის ისტორიაზე XVIII სკ.

1876 წ. ილოვაისკიმ ადრე გამოსული სტატიების საფუძვლეზე გამოსცა ,,Разыскание о начале Руси, дополненные вопросами о Гуннах" სადაც გამოვიდა ნორმანული თეორიის კრიტიკით. იმ დროს დაიწყო გამოცემა განზოგადებული ნაშრომის ,,რუსეთის ისტორია". ამ გამოცემის პირველმა ტომმა არ გამოიწვია განსაკუთრებული რეაქცია სამეცნიერო წრებში, რომელიც იფარგლეობდა ილოვაისკის ზოგიერთი იდეის კრიტიკით, მაგრამ ახალი ფოლიანტების გამოცემის კვალდაკვალ თავდასხმები კონსერვატორ ისტორიკოსზე ხდებოდა უფრო სასტიკი.

1890-იანი წლების ბოლოს ილოვაისკი აღმოჩნდა ოპოზიციაში მთელ განათლებულ საზოგადოებასთან, ის არ უყვარდათ მკვეთრი და მენტორული ტონის გამო, იმის გამო რომ რევოლუციურ მოძრაობას ხსნიდა ,,უცხო ელემენტის" გავლენით (ებრაელები, პოლონელები, გერმანელები), რომელთანაც გაერთიანდა ბევრი რუსი ინტელიგენტი ,,არარუსული მიმართულების", სტატსკი სავეტნიკის ჩინის გამო, ოფიციალური გაზეთის ,,კრემლის" გამო რომლის მთავარი რედაქტორი, მთავარი ავტორი და როგორც ხუმრობდნენ მთავარი მკითხველიც ილოვაისკი იყო. როგორც ჩანს ეს მას ნაკლებად აღელვებდა, ყოველთვის იყო დამოუკიდებელი ფიგურა რომელიც არ აქცევდა ყურადღებას საზოგადოებრივი აზრს. უკვე რევოლუციის შემდეგ დაკითხვაზე ჩეკაში 86 წლის მოხუცმა კითხვაზე როგორია თქვენი პოლიტიკური მრწამსი? უპასუხა ,,ვიყავი მონარქისტი, გახლავართ მონარქისტი".

ნიკოლოზ კარლოს ძე შილდერი (1842-1902) XIX სკ II ნახევრის პროფესიონალებს და ისტორიკოს მოყვარულებს შორის ეს ავტორი ცნობილია პირველყოვლისა როგორც ბიოგრაფიული ჟანრის ოსტატი. წარმატებული სამხედრო სამსახური დაასრულა გენერალ მაიორის ჩინით, შემდეგ გადაინაცვლა სამოქალაქო სამსახურში ხელმძღვანელობდა ნიკოლაევსკის საინჟინრო აკადემიას (დაასრულა ეს აკადემია 1863 წ) სიცოცხლის ბოლოს უკვე გენერალ ლეიტენანტის ჩინით საიმპერიო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო.

ისტორია შილდერის ერთ-ერთი მოწოდება იყო, მასში ისტორიისადმი ინტერესი როგორც ჩანს ტრაგიკულმა შემთხვევამ გამოიწვია, მას შემდეგ, რაც მამამისი, ცნობილი სამხედრო ინჟინერი, გარდაიცვალა ყირიმის ომის დროს, შილდერმა სცადა მშობლის

სახელი უკვდავეყო დეტალური და წარმოსადეგი ბიოგრაფიით რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში ,,Русская старина''.

მაგრამ შილდერს როგორც ისტორიკოს პოპულარობა მოუტანა იმპერატორების პავლე I-ის, ალექსანდრე I-ის და ნიკოლოზ I-ის ცხოვრებათა აღწერამ, ასევე თანამემამულეების არაკჩეევის, სკობელევის, ტოტლებენის (ედუარდ ივანეს ძე).

ამ ბიოგრაფიების ავტორი ეხებოდა არცთუ შორეულ დროს და ეს აისახა კიდეც ნაშრომებზე: კარის ცხოვრების აღწერა, სასახლის გადატრიალების შესახებ მოთხრობა, რა დროსაც პავლემ დაკარგა ტახტი და სიცოცხლე სხვა მოვლენები ყველაფერი ეს მოითხოვდა ტაქტს და ამავე დროს აიძულებდა ავტორს პატიოსნად გადმოეცა მომხდარი.

შილდერს არ შეიძლება დაერქვას რომანოვების უბრალო აპოლოგეტი, მაგალითად ის არ მალავდა ნეგატიურ დამოკიდებულებას ელისაბედის ქმედებების მიმართ, რამაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანა პეტრეს ასული, ალექსანდრე I-ის პოლიტიკას და მას პირადად აბრალებდა დეკაბრისტების გამოსვლას. ამასთან ავტორი ყველა თავის გმირს აშკარა სიმპათიით ეკიდებოდა, ცდილობდა მათში დაენახვებინა არა მხოლოდ გამოჩენილი პოლიტიკოსები არამედ უბრალო ადამიანები.

სერგეი სპირიდონის ძე ტატიშევი (1846-1906) იყო ვასილი ნიკიტას ძე ტატიშევის შთამომავალი, დაიბადა პეტერბურგში, განათლება მიიღო ალექსანდრეს ლიცეუმში, შემდეგ სორბონაში, იყო ბრწყინვალე დიპლომატი, 29 წლის ასაკში გახდა ვენაში რუსული საელჩოს მდივანი, 1878 წელს სამსახური დატოვა, გერმანელი დიპლომატის ინტრიგების გამო, დადგა მისი სახელმწიფო ღალატში დადანაშაულების საფრთხე, რომელიც მხოლოდ ალექსანდრე III-ის გამეფების შემდეგ გაქარწყლდა. ტატიშევი იყო მონარქისტი, მისი აზრით თვითმპყრობელობის კრიტიკა არის ,,რუსული სახელმწიფოებრიობის დადებითი საწყისის უნაყოფო და საზიანო უარყოფა''. რეალობის გათვალისწინების გარეშე წერდა: ,,თვითმპყრობელური ხელისუფლება- მამობრივი ხელისუფლებაა, რადგან ის უშვებს ქვეშევრდომებისთვის თავისუფლებას სიტყვის და აზროვნების დარგში და შეუდარებლად დიდის ვიდრე იმას რასაც გარანტირებს ნებისმიერი დასავლეთევროპული კონსტიტუციის პარაგრაფები''.

დიპლომატიურმა საქმიანობამ დაარწმუნა ტატიშევი დასავლეთში მეგობრის ძიების ამაოებაში. ის დანილევსკის მსგავს თვასაზრისს იზიარებდა. რუსეთის შეცდომები საგარეო პოლიტიკის დარგში და საერთაშორისო ურთიერთობებში ტატიშევის აზრით გამომდინარეობდა დიდწილად იქიდან, რომ ,,ჩვენი დიპლომატიური უწყება გადავიდა უცხოელების ხელში, წარმომავლობით, ურჯულოებისა რწმენით ...''

ეს გამონათქვამები შეიძლება აღქმულიყო, როგორც რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომის ერთ-ერთი კერძო აზრი, მაგრამ ს. ტატიშევი იყო საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული ნაშრომების ავტორი საგარეო პოლიტიკის ისტორიაში. 1880-იან 1890-იან ათწლეულში მის მიერ გამოქვეყნებულ იქნა რამდენიმე ნაშრომი ამ თემაზე. ,,იმპერატორ ნიკოლოზ I-ის საგარეო პოლიტიკა 1887 ,,იმპერატორ ნიკოლოზ I და უცხოური სამეფო კარები'' (1888) რუსული დიპლომატიის წარსულიდან (1890) ,,დიპლომატიური საუბრები რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე (1890-1898).

ტატიშევის ისტორიული ინტერესების სხვა სფერო იყო ბიოგრაფიული ჟანრი. ამ მიმართულებით მან გამოსცა ,,იმპერატორი ალექსანდრე II'' ძლიერ მხარეს მისი ნაშრომის მიეკუთვნება ცოცხალი სალიტერატურო ენა, რომლითაც ის არის დაწერილი.

,,მოსკოვის საისტორიო სკოლა. ვასილი ოსიპის ძე კლიუჩევსკი და მისი მოწაფეები''.

ვასილი კლიუჩევსკი (1841-1911) იყო ღარიბი სოფლის მღვდლის შვილი. ის დაიბადა 1841 წელს 16 იანვარს სოფელ ვოსკრესენსკში პენზასთან ახლოს და განათლება მიიღო თავიდან ადგილობრივ სამრევლო სასწავლებელში, შემდეგ პენზის გუბერნიის სემინარიაში, მაგრამ სასულიერო კარიერა ახალგაზრდას არ იტაცებდა. მან მიატოვა სემინარია, გადავიდა მოსკოვში და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერისტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

კლიუჩევსკი დიდი მონდომებით სწავლობდა თუმცა ჩანდა, რომ ,,ბაკალავრუშკა'' (ასე ეძახდა მას ბებია) საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული ინტერესების სფეროზე. მეგობართან წერილში ის აღიარებდა ,,ძნელია ჩემი ცოდნის რეზიუმირება, ეშმაკმა უწყის რით არ ვარ დაკავებული, პოლიტიკურ ეკონომიასაც ვკითხულობ, სანსკრიტს ვიზუთხავ, ინგლისურად რაღაცეებს ვსწავლობ, ჩეხურსა და ბულგარულს ვატრიალებ და ეშმაკმა იცის კიდევ რას''. მოკლედ უნივერსიტეტის დამთავრების დროისთვის კლიუჩევსკის სამეცნიერო პრიორიტეტები უკვე ცნობილი იყო, მისმა სადიპლომო ნაშრომმა ,,უცხოელთა თქმულებები მოსკოვის სახელმწიფოს შესახებ'' (Сказания иностранцев о Московском государстве) მიიქცია ფართო საზოგადოების და სპეციალისტების ყურადღება, ის დაბეჭდეს ,,მოსკოვის უნივერსიტეტის მოამბეში'' ხოლო ახალგაზრდა ავტორი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით და დატოვეს კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელის, სოლოვიოვის რჩევით თავისი შემდგომი კვლევის თემად კლიუჩევსკიმ აირჩია ჰაგიოგრაფია. ჩაატარა უზარმაზარი სამუშაოები, შეისწავლა 166 წმინდანის ცხოვრება, 1872 წელს ისტორიკოსმა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია წმინდანთა ცხოვრების როგორც საისტორიო წყაროს შესახებ (,,Древнерусские Жития святих как исторический источник''), მაგრამ მივიდა დასკვნამდე, რომ ჰაგიოგრაფიული წყაროები იყო ღარიბი ისტორიული ცნობებით და სუსტად ასახავდნენ მათ თანამედროვე რეალიებს: ,,ცხოვრება – ბიოგრაფია არ არის, არამედ პანეგირიკი ბიოგრაფიის ჩარჩოებში, ისევ როგორც წმინდანის სახე ცხოვრებაში არაა პორტრეტი არამედ ხატი''. იმედგაცრუებულმა ისტორიკოსმა გამოუტანა განაჩენი ჰაგიოგრაფიას: ,,ხშირად ჩანს, რომ ცხოვრებათა მოთხრობაში არის მარჯვე დაკვირვება, სინამდვილის ცოცხალი შტრიხი, მაგრამ ანალიზისას რჩება მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ადგილი''.

სამაგისტრო ნაშრომი იყო სამაგალითო როგორც წყაროთმცოდნეობითი კვლევა, მაგრამ მხატვრულ პლანში დატოვა ავტორი უკმაყოფილოდ. 1882 წელს დაცული სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დაწესებულების ისტორიას: ნაშრომს ერქვა ,,Боярская дума древней Руси''.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად კლიუჩევსკი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას- კითხულობდა ლექციებს მსოფლიო ისტორიაში ალექსანდროვის სამხედრო სასწავლებელში, ასწავლიდა სამოქალაქო ისტორიას სასულიერო აკადემიაში ტროიცა-სერგიევის ლავრაში და ა.შ. სოლოვიოვის გარდაცვალების შემდეგ კლიუჩევსკის

რომელსაც ჯერ არ ჰქონდა დოქტორის ხარისხი გადასცეს რუსეთის ისტორიის კურსი მოსკოვის უნივერისიტეტში. ირონიულად ის თავს უწოდებდა ,,კათედრას მიზრდილ ლოკოკინას". სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეთავსება გახდა სწავლულის ცხოვრების სტილი.

ლექტორის ბრწყინვალე ნიჭი არ ტოვებდა გულგრილად არცერთ მსმენელს. 1880- იან წლებში გამოიცა მისი ლექციების კონსპექტი, ჩაწერილი სტუდენტების მიერ, მოგვიანებით მან მოახდინა მისი რედაქტირება და კვლავ გამოსცა სახელით ,,რუსეთის ისტორიის კურსი".

კლიუჩევსკის მეთოდოლოგიურ მიდგომებს არ შეიძლება ვუწოდოთ აბსოლუტური სიახლე, ის დამყარებული იყო რუსეთის ისტორიის გაგებაზე, როგორც მსოფლიოს ნაწილზე და სამი ძირითადი ისტორიული ძალის გამოყოფაზე, ესენია პიროვნება, საზოგადოება და ქვეყნის ბუნება. ისტორიკოსის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ამ ფაქტორთა შეწყობის განსაზღვრა, გამოვლენა. სხვათაშორის კლიუჩევსკი იყო პირველი ვინც შეიმუშავა და წაიკითხა სასწავლო კურსი რუსული ისტორიის მეთოდოლოგიაში. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა საკითხის და ამოცანის მკაფიო დასმით, რომელიც იდგა კურსის წინაშე, იწყებოდა სტრუქტურის ახსნით და მასალის პერიოდიზაციით, შეიცავდა წყაროების დახასიათებას და მოკლე ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას (თუ ეს შესაძლებელი იყო შესასწავლი თემიდან გამომდინარე).

კონკრეტულ ისტორულ სქემებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს რომ კლიუჩევსკი სიმპატიას გამოხატავდა სახელმწიფო სკოლის ისტორიკოსების იდეების მიმართ, მაგრამ წმინდა სამართლებრივი მიდგომებისგან განსხვავებით ის ცდილობდა ისტორიული პროცესი წარმოედგინა როგორც საზოგადოებრივი კლასების განვითარების პროცესი, რომელთა მდგომარეობაც დამოკიდებული იყო მათ ეკონომიკური მდგომარეობაზე და პოლიტიკურ სტატუსზე. სხვაობა სახელმწიფო სკოლის მიმდევრებთან კლიუჩევსკის ბევრი ჰქონდა როგორც ზოგად ისე კერძო საკითხებზე: თუ სოლოვიოვი დარწმუნებული იყო ისტორიული პროცესის კანონზომიერების უცილო შეცნობადობაში, მისი გამოვლენის გარდუვალობაში, კლიუჩევსკი თვლიდა, რომ მეცნიერებას შეუძლია განსაზღვროს მხოლოდ ისტორიული შემეცნების საზღვრები, ხოლო ისტორიული მოვლენები რეალიზდება დიდწილად შემთხვევითობით და შეიძლება განვითარდეს განსხვავებული სცენარით. ზოგად მეთოდოლოგიურ სხვაობებს ახლდა ცალკეული განსხვავებები ამა თუ იმ ისტორიული მოვლენების შეფასებისას. მაგალითად მიმართავდა რა გვაროვნული ურთიერთობების სახელმწიფოში გადაზრდის პროცესს, კლიუჩევსკიმ გაართულა სოლოვიოვის სამსაფეხურიანი სქემა (გვარი-ოჯახი-სახელმწიფო) წარმოადგენდა რა მას მემკვიდრეობითი ჯაჭვის სახით: სისხლით ნათესაური ურთიერთობიდან (გვარი) ენის და ჩვეულების საფუძვლეზე (ტომი) ჩამოყალიბებული გაერთიანებისკენ, შემდეგ ხალხის ჩამოყალიბება ზნეობრივი ერთიანობის შეგნებით. რომლის შედეგი იყო სახელმწიფოს გაჩენა, გამყარებული პოლიტიკური კავშირებით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად რომელიც ახდენდა გავლენას რუსი ხალხის ისტორიაზე კლიუჩევსკი თვლიდა ქვეყნის ბუნებას, რომელიც განსაზღვრავს სოციალ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და ეროვნული ხასიათის თავისებურებას.

რუსების საცხოვრებლის გეოგრაფიულმა გარემომ მიაჩვია ისინი მუდმივ კოლონიზაციებს, ,,რუსეთის ისტორია ესაა ქვეყნის ისტორია რომელიც კოლონიზირდება'' იმეორებდა სოლოვიოვის მსგავსად - კოლონიზაციის ოლქი მასში ფართოვდებოდა სახელმწიფო ტერიტორიასთან ერთად''. კოლონიზატორული მოძრაობა იწვევდა თვისობრივ ცვლილებებს რუსი ხალხის და სახელმწიფოს ისტორიაში. სწორედ მოსახლეობის ძირითადი მასის გადაადგილება დაედო საფუძვლად კლიუჩევსკის რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციას:

პირველად ის გამოყოფდა დნეპრის პერიოდს (VIII-XIII) მოსახლების ძირითადი მასა კონცენტრირებული იყო მაშინ დნეპრის შუა და ზედა წელში. მეურნეობის ეკონომიკური საფუძველი ამ დროს იყო საგარეო ვაჭრობა და სატყეო მეურნეობა. ძირითადი პოლიტიკური პროცესი კი ,,მიწების პოლიტიკური დაქუცმაცებულობა ქალაქის ხელმძღვანელობით''. შემდეგ დგებოდა ზემოვოლგის პერიოდი (XIII-XV) ამ დროს მასობრივი გადასახლება მიდის სამხრეთ პოდნეპროვიიდან ვოლგის ზემოწელისკენ და მისი შენაკადების. ეკონომიკური ბაზა არის მიწათმოქმედება თავისუფალი შრომის საფუძველზე. ძირითადი პოლიტიკური პროცესები მიწების დაქუცმაცება სამთავრობო მამულებად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლიუჩევსკი არ ანიჭებდა მონღოლ თათართა შემოსევას დიდ მნიშვნელობას, მონღოლებმა რუსებს წაასწრეს ლაშქრობისას, მოძრაობის დროს, რომელიც დააჩქარეს, მაგრამ არ გამოუწვევიათ ახალი ცხოვრების ნირი''.

შემდეგი იყო ველიკორუსული პერიდი (XV სკ. II ნახ - XVII სკ. მეორე ათწლეული) როცა მოსახლეობა ვრცელდება ზემო ვოლგის ოლქებიდან სამხრეთით და აღმოსავლეთით (დონის და შუა ვოლგის შავმიწისკენ) ჩამოაყალიბეს რა განსხვავებული ველიკორუსული ხალხი. ეკონომიკური საფუძველი რჩებოდა თავისუფალი მიწათმოქმედება, მაგრამ მისი თავისუფლება იწყებს შევიწროებას. მთავარი პოლიტიკური პროცესი ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება თვითმპყრობელობის ფორმირება.

აფასებდა რა მოსკოვის სამთავროს ველიკორუსულ სახელმწიფოდ გადაქცევას კლიუჩევსკი წერდა ,,მოსკოვის ხელმწიფის ხელისუფლება დგებოდა არა სამამულო მთავრების ადგილზე არამედ მათ ზემოთ და ახალი სახელმწიფო წესრიგი ყველა ადრინდელზე მაღლა დგებოდა, ისე რომ არ ანგრევდა მას არამედ ქმნიდა ახალ უმაღლეს რიგ დაწესებულებებს (დადგენილებას) და ურთიერთობებს''. მოსკოვის სახელმწიფომ მოიტანა ბატონყმური ურთიერთობები. ბატონყმობის გაჩენის საკითხში მეცნიერი შორდებოდა სახელმწიფო სკოლის ისტორიკოსთა სქემებს. მისი აზრით უაზროა ეძებო რაიმე სპეციალური აქტი, 1582 წლის ბრძანებულება –რომელიც ადგენდა ბატონყმობას რამდენადაც ის ჩამოყალიბდა ეკონომიკური აუცილებლობის შედეგად გამოწვეული ,,მიწათმოქმედების კრიზისით'' XVI სკ ბოლოს ,,ბატონყმობა რუსეთში შეიქმნა არა სახელმწიფოს მიერ არამედ სახელმწიფოს მონაწილეობით. გამოყავდა რა მიზეზები ისტორიული მოვლენების სხვადასხვა ფაქტორების შეხამებით (ბუნებრივი, სოციალური ფსიქოლოგიური) კლიუჩევსკის არ შეეძლო გვერდი აევლო მკაფიო ისტორიული პიროვნებებისთვის. ამასთან ცდილობდა აერიდებინა მორალიზატორობა თავის შეფასებებში. ამიტომ ივანე მრისხანეს ,,მეფობის უარყოფითი მნიშვნელობა'' მდგომარეობდა არა მეფის საშინელ საქმეებში არამედ იმაში, რომ მეფის ხელისუფლების

და ბოიართა არისტოკრატიის კონფლიქტს მიჰყავდა ობიექტურად რუსეთი არეულობისკენ, ასე რომ მოსკოვის სახელმწიფოს ცხოვრება ივანე მრისხანეს გარეშეც ისე იქნებოდა მოწყობილი როგორც ადრე და მის შემდეგ".

ბოლოს დადგა საერთორუსული პერიოდი (XVII დასაწყ. XIX შუაწლები) ამ დროს ,,რუსი ხალხი გავრცელებულია მთელ დაბლობებზე ბალტიიდან და თეთრი ზღვიდან შავამდე და კავკასიონის ქედამდე კასპიისა და ურალისა ... ველიკოროსიას ერთმანეთის მიყოლებით უერთდება მალაროსია, ბელოროსია და ნოვოროსია ქმნის რა საერთორუსულ იმპერიას". ეკონომიკური საფუძველი –ბატონყმური მიწათმოქმედება და ქარხანა-ფაბრიკის წარმოება. მთავარი პოლიტიკური პროცესი - თავდაზნაურული იმპერიის ფორმირება. ბატონყმობის გაუქმებით იწყება თვითმყრობელური თავადაზნაურული წყობის შეზღუდვა, უმნიშვნელოვანესი მოვლენა ამ პერიოდის იყო პეტრეს რეფორმები, მაგრამ კლიუჩევსკი პეტრეს მეფობას არ აძლევს გარდამტეხი მომენტის მნიშვნელობას. ის ყურადღებას ამახვილებდა პეტრეს ცვლილებების სტიქიურობაზე (პეტრე მხოლოდ აკეთებდა იმას რასაც კარნახობდა წუთი, არ იწუხებდა თავს წინასწარი მოსაზრებებით და შორეული გეგმებით) მთავარ წამქეზებელ მომენტად, რეფორმების მთავარ მიზეზად უთითებდა ჩრდილოეთის ომს. ამ მომენტის ევროპეიზაცია ატარებდა ისტორიკოსის აზრით ზედაპირულ ხასიათს, მაგრამ გამოიწვია კულტურული, ზნეობრივი, განხეთქილება რუსეთის საზოგადოების მაღალ წრეებს და ხალხს შორის.

კლიუჩევსკის ლექციებს ჰქონდა უზარმაზარი წარმატება, მისი ავტორიტეტი, როგორც მკვლევრის და მასწავლებლის იყო უდაო, ის არ განიცდიდა მისი ნიჭის მეხოტბეების და მოსწავლეების უკმარისობას, მაგრამ მასწავლებლის ნდობის მოპოვება მის წრეში შესვლა იყო ძალიან რთული.

ითქვა, რომ კლიუჩევსკი არ იყო უბრალო მასწავლებელი და ბევრი თვლიდა მას თავის დამრიგებლად (მაგალითად პოკროვკსი, იაკოვლევი, პიჩეტა, ბახრუშინი, ბოგოიავლინსკი, ვერნადსკი) მაგრამ მისი ხელმძღვანელობით დაცული სამაგისტრო დისერტაციებით შეიძლება დავასახელოთ 6 ადამიანი რომელიც შეადგენდა ე.წ. ,,კლიუჩევსკის სკოლისა" ბირთვს პ. მილიუკოვი, მ. ლიუბავსკი, ნ. როჟკოვი, მ. ბოგოსლოვსკი, ა. კიზევეტერი, ი. გოტიე.

<u>პავლე ნიკოლოზის ძე მილიუკოვი</u> (1859-1943) 1877 წელს სწავლას შეუდგა მოსკოვის უნივეერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებაზე. გადაწყვიტა რა რომ მისი სპეციალობა იქნებოდა რუსეთის ისტორია. ამან მიიყვანა ცნობისმოყვარე სტუდენტი კლიუჩევსკის მოსწავლეთა წრეში, თუმცა კლიუჩევსკი რომელიც იყო მიბაძვის ობიექტი არ ცდილობდა ოსტატობა გადაეცა. ამ თვალსაზრისით მილიუკოვისთვის პავლე გავრილას ძე ვინოგრადოვმა მეტი გააკეთა.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა დატოვეს კათედრაზე. კლიუჩევსკის მსგავსად მილიუკოვი წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. 1892 წელს მაისში დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია ,,სახელმწიფო მეურნეობა რუსეთში XVIII პირველ მეოთხედში და პეტრე დიდის რეფორმა" ამ ნაშრომში პეტრე I-ს მთავარი როლი არ ენიჭებოდა რეფორების გატარებაში, რომლის არსი მეფეს მილიუკოვის აზრით ბოლომდე არ ესმოდა. აფასებდა რა XVIII სკ დასაწყისში მომხდარს ცვლილებებს, სწავლული ეთანხმებოდა თავის მასწავლებლის პოზიციას, აღნიშნავდა რა, რომ ისინი იყო

აუცილებელი საგარეო პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად მოუმზადებელი ქვეყნის შიდა განვითარების კუთხით. დასაცავად გამოტანილი მონოგრაფიის განსაკუთრებული ღირებულება იყო მეცნიერებაში პირველად შემოღებული წყაროების მთელი კომპლექსი. ნაშრომი იმდენად წარმატებული იყო, რომ ოპონენტებმა (ვნოგრადოვი, გერიე) წამოაყენეს წინადადება ავტორისთვის მიენიჭებინათ ისტორიის დოქტორის ხარისხი, სამაგისტროს გვერდის ავლით. ამას შეეწინააღმდეგა კლიუჩევსკი. ამ ,,კონფლიქტმა'' დიდი ხნით გააცივა ურთიერთობები მასწავლებელს და მოსწავლეს შორის. ,,ქვის კატა'' (ასე უწოდა მილიუკოვს ამტანობის და სიჯიუტის გამო) მეცნიერებას არ ჩამოშორებია მაგრამ სულ უფრო ერთვებოდა პოლიტიკაში. ნიჟნი ნოვგოროდში ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე თვითმმართველობის მისამართით კრიტიკისას ის გაგზავნილ იქნა რიაზანში გადასახლებაში. აქ მან დაიწყო მუშაობა თავის უმთავრეს ნაწარმოებზე ,,რუსეთის კულტურის ისტორიის ნარკვევები'', მაშინ იქნა მომზადებული ლექციების კურსი ისტორიოგრაფიაში ,,რუსული ისტორიული აზრის მთავარი მიმდინარეობები''.

გადასახლებიდან მილიუკოვი წავიდა ბულგარეთში, ასწავლიდა იქ სოფიის უნივერსიტეტში, მოინახულა მაკედონია, შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგში. თავისი შეხედულებების გამო კვლავ დაპატიმრებულ იქნა, განაგრძო ციხეში შრომა ,,ნარკვევებზე'' გაათავისუფლეს ის კლიუჩევსკის შუამდგომლობით, ურთიერთობები მასწავლბელთან აღდგა. 1903 წელს ზაფხულში მილიუკოვი გაემგზავრა ამერიკაში ლექციების წასაკითხად ჩიკაგო, ბოსტონსა და ჰარვარდში. ამერიკაში მეორე ვიზიტის დროს, 1905 წელს მან გაიგო პეტერბურგში ,,სისხლიანი კვირის'' და დაწყებული რევოლუციის შესახებ, დაბრუნდა სამშობლოში სათავეში ჩაუდგა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას.

მილიუკოვის პოლიტიკური აქტიურობის პიკი დადგა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა სათავეში ჩაუდგა დროებით მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ბოლშევიკების მოსვლას ხელისუფლების სათავეში კადეტების ლიდერი მტრულად შეხვდა. ახალმა რეჟიმმა აიძულა იგი დაეტოვებინა ქვეყანა და ინგლისში დაფუძნებულიყო. 1921 წელს გადავიდა პარიზში, საფრანგეთში გააგრძელა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა (ლექციებს კითხულობდა სორბონაში, გამოუშვა ორტომეული ,,რუსეთი გარდატეხის პირას'' აქ საფრანგეთში გარდაიცვალა 1943 წელს.

მილიუკოვის ისტორიულ შეხედულებებზე ყველაზე უკეთ წარმოდგენებს გვიქმნის ,,კულტურის ისტორიის ნარკვევები'' რომელიც რუსეთში 1917 წლამდე 7 ჯერ გამოიცა. 1930-37 ხელახალი რედაქციით ავტორმა გამოსცა საფრანგეთში. ამ ნაწარმოების მიზანს ავტორი ხედავდა ,,გაეცნო მკითხველისთვის ის ძირითადი პროცესები და მოვლენები რომელიც ახასიათებს რუსულ საზოგადოებრივ ევოლუციას''. აქ მოცემული იყო რუსეთში ისტორიულ საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამა უძველესი დროიდან XX სკ-მდე. ,,კულტურის ისტორიას'' მილიუკოვი განმარტავდა ძალიან თავისუფლად როგორც ,,ეკონომიკურ, სოციალურ და სახელმწიფოებრივ ასევე გონებრივ ზნეობრივ, რელიგიურს და ესთეტიკურ'' ისტორიას. მეცნიერი ცდილობდა დაეშალა მთელი ისტორიული პროცესი უმარტივეს ელემენტებად, წარსულის შესამეცნებლად გამოეყენებინა ზუსტი მეცნიერებების მეთოდები. ეს აძლევდა საშუალებას ეპოვა ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა გვარის გაგრძელების ბიოლოგიურ

ინსტიქტში - სწორედ ეს აიძულებს ადამიანებს იბრძოლონ ბუნებასთან საკუთარი თავის გადასარჩენად, იწვევს ხალხთმოსახლების ზრდას, იწვევს წარმოების ზრდას და უბიძგებს კაცობრიობას პროგრესის გზაზე. მილიუკოვი თვლიდა, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო რუსული სივრცეების მუდმივი კოლონიზაცია სწორედ რომ ამცირებდა ამ სიმჭიდროვეს და იწვევდა ეკონომიკური ცხოვრების პრიმიტიულობას.

განიხილავდა რა სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებს, კოლონიზაციის პროცესს, დაყმევება-განყმევების პრობლემებს – ამ უმნიშვნელოვანეს თემებს რუსეთის ისტორიის გასაგებად ისტორიკოსი მივიდა დასკვნამდე, რომ ბუნებრივი პირობები, საზოგადოებრივი ურთიერთობების განუვითარებლობა, სახალხო ძალების გახლეჩა მუდმივი კოლონიზაცია, მოძრაობა არ ქმნიდა წინაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებისთვის, იწვევდა მის ჩამორჩენას ევროპის ქვეყნებთან შედარებით. რუსეთის დასავლეთ ევროპასთან შედარება და უფრო მეტი, შეპირისპირება (კონტრასტების თეორია, პავლოვ სილვანსკის განსაზღვრებით) ხდებოდა მილიუკოვის კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. რუსეთში სახელმწიფოს ჰქონდა უზარმაზარი გავლენა საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, მაშინ როცა დასავლეთში საზოგადოებრივი ორგანიზაციები განაპირობებდა სახელმწიფოს წყობას".

საუბრობდა რა რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე პ. მილიუკოვი გამოყოფდა სამ ეტაპს ამ პროცესში: 1) ტომობრივი ყოფა (პირველი საფეხური ეს იყო ტომობრივი, რომელიც სახელმწიფო ჯერ არ არის და ხალხი ერთმანეთთან დაკავშირებულია სისხლით ნათესაური კავშირით ნამდვილია ეს თუ მოგონილი). 2) ფეოდალური წყობა (მეორე საფეხურზე ჩნდება სახელმწიფო კავშირი, მაგრამ ის ჯერ არაა ძლიერი და მთლიანი დიდი სახელმწიფოს ნაცვლად საზოგადოება დაქუცმაცებულია მრავალ პატარა ერთეულად, სადაც ბატონობენ მსხვილი მესაკუთრეები რომლებმაც დაიკავეს საერთო და სატომო მიწები და შეაიარაღეს თავიანთი მსახურები რათა მათთან ერთად დაიცვას თავიანთი ქვეშევრდომები და თავს დაესხან სხვას. ეს მეორე საფეხური არის ფეოდალური ყოფა) 3) ეროვნულ-სამხედრო სახელმწიფო (მესამე საფეხურზე ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი ან ყველაზე მოხერხებული მტაცებელი ანადგურებს ან იმორჩილებს დანარჩენებს და თავის ხელისუფლებას უმორჩილებს ერთი ენის და ერთი რწმენის მთელ მოსახლეობას და ამრიგად ქმნის ერთიან ერს) მართალია ყველა ეს ეტაპი განვლო მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთმა, რამდენადაც ჩრდილო-აღმოსავლეთმა ისტორიკოსის აზრით ფეოდალიზმი არ იცოდა გადავიდა რა სტეპთან ბრძოლის გავლენით ტომობრივიდან საბრძოლო-ეროვნულ სახელმწიფოზე.

პეტრე I შეფასებისას მილიუკოვის აზრით ცვლილებებს ჰქონდა სტიქიური ხასიათი, მოდოდა საწინააღმდეგოდ სახალხო შეგნებასთან, უფრო პოზიტიურად ფასდებოდა ეკატერინე II.